



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
19 მაისი, 2023
დასკვნის წარდგენის თარიღი
28 ივნისი, 2023

თბილისი

შინაარსი

| | |
|--|----|
| I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | 4 |
| II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა..... | 5 |
| III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან..... | 7 |
| . საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... | 7 |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა | 16 |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა..... | 22 |
| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა..... | 25 |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... | 34 |

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

| | |
|---|------------------------|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 404987332 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|--|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ლორან კუნილონი - კოტ დ'აზურის უნივერსიტეტი, საფრანგეთი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | თამთა ლეკიაშვილი – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო; |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ეკა ლეფსვერიძე – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო. |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ეკატერინე ბუაძე, სტუდენტი ექპერტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | |

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | | |
|---|-----------|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | პროგრამის | ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი |
| საგანმანათლებლო სახელწოდება (ინგლისურად) | პროგრამის | Life Sciences |
| უმაღლესი განათლების საფეხური | | სადოქტორო |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია ² | | სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | | 0511.1.1 ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³ | | |
| სწავლების ენა | | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | | 60 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითება (ნომერი, თარიღი) | | პირობით აკრედიტებული (1 წელი) |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | | |

²უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, თუ მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება განსხვავდება, იგი ცალ-ცალკე მიეთითება თითოეული დაწესებულებისთვის.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

წინამდებარე სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს მაღალი დონის დოქტორანტების მომზადებას სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში. ის ფოკუსირებულია უჯრედისა და ქსოვილის ბიოლოგიაზე/ქსოვილის ინჟინერიაზე, მიკრობიოლოგია/იმუნოლოგიაზე ნეირომეცნიერებაზე, ექსპერიმენტულ კანცეროლოგიასა და გენეტიკაზე. პროგრამა მოიცავს სავალდებულო მეთოდოლოგიურ (45 კრედიტი) და არჩევით კურსებს (15 კრედიტი) ბიოქიმიის, მიკრობიოლოგიის/იმუნოლოგიის და გენეტიკის საფუძვლებს ან შემდგომ მეთოდოლოგიურ კურსებს. შემდეგ მას მოსდევს კვლევის კომპონენტი. პროგრამა მეცნიერულად ამბიციურია და სარგებლობს კარგი სამეცნიერო აღჭურვილობით/გარემოთი დოქტორანტების ექსპერიმენტული პროექტისთვის. მის დიზაინზე ასევე გავლენას ახდენს უმაღლესი სასწავლებლის ეკოსისტემური ხედვა, რომელიც აერთიანებს სასწავლო ნაწილს კვლევებთან, ინსტიტუტებთან, სოციალურ-ეკონომიკურ პარტნიორებთან, მაგრამ ასევე ჯანმრთელობასთან.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საკრედიტაციო ვიზიტი 19 მაისს გაიმართა მოსამზადებელი შეხვედრების შემდეგ, რომლის დროსაც ექსპერტთა ჯგუფის წევრები გაეცნენ საქართველოში მოქმედი უმაღლესი განათლების შეფასების სტანდარტებსა და პროცედურებს და სამუშაო დატვირთვა განაწილდა ჯგუფის წევრებს შორის. ასევე, შეიქმნა და სააკრედიტაციო ჯგუფის წევრებს შორის გაზიარდა კითხვების წინასწარი სია. სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებას მოჰყვა კვლევითი დაწესებულებების და ბიბლიოთეკის მონახულება.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა მოიცავს 60 კრედიტიანი კურსების შინაარსს (რომელშიც შედის როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი საგნები) და სადოქტორო ნაშრომს კვლევითი სამუშაოსთვის. მთლიანობაში მთელი პროგრამა შეესაბამება სტანდარტებს სწავლის შედეგების, კურსებისა და ექსპერიმენტული შინაარსის, პერსონალის კვალიფიკაციისა და კვლევითი ლაბორატორიების თვალსაზრისით.

▪ რეკომენდაციები

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამამ პირველი სტუდენტები (მათ შორის საერთაშორისო სტუდენტები) შეძლებისდაგვარად სწრაფად აიყვანოს, რათა მათ ასევე სწრაფად დაიწყონ მუშაობა ლაბორატორიაში.

- სასურველია პროგრამის პერსონალმა განიხილოს არჩევითი სამეცნიერო კურსის შინაარსის გაფართოება/გამრავალფეროვნება, რათა დაიფაროს ის ხარვეზები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს უჯრედულ ბიოლოგიასა და ნეირობიოლოგიაში. ამას შეიძლება დაერთოს საბაზისო დონის არჩევითი საგნების შექმნა სხვადასხვა წარმოშობის სტუდენტებისთვის, რომლებსაც შესაძლოა არ ჰქონდეთ

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

გამოცდილება კონკრეტულ სფეროში. აღსანიშნავია, რომ ასეთი მოდულურობის დამატების პრინციპი ძალიან დადებითად შეფასდა გასაუბრებების დროს.

- პროგრამის წარმატების შემთხვევაში, სტუდენტების რაოდენობა შეიძლება სწრაფად გაიზარდოს. ეს შესაძლოა წინასწარ მოგვარდეს თანამშრომლობაზე დაფუძნებული პროექტებითა და კურსის საათობრივი დატვირთვის შემცირებით (იხ. წინა სექციები), რათა შემსუბუქდეს სასწავლო დატვირთვის ნაწილი ლექტორებისთვის და ეს დრო დოქტორანტის სწავლებასა და ხელმძღვანელობას დაეთმოს.

- წარმატებული და მიმზიდველი სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სტუდენტების დაფინანსება/ხელფასი დოქტორანტურის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი არ შედის მოთხოვნილ სტანდარტებში, სასურველია პროგრამამ და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობამ, შეისწავლოს, როგორ უზრუნველყოს, სტუდენტების სრული ანაზღაურება დოქტორანტურასა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის შესრულებისას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

- ეს პროგრამა აგებულია ეკოსისტემური ხედვით, რომელიც აკავშირებს სწავლებას კვლევით ლაბორატორიებთან, ინსტიტუტებთან, სოციალურ-ეკონომიკურ პარტნიორებთან და ჯანდაცვასთან კერძო/არაკომერციული საავადმყოფოს მეშვეობით, რომელიც ასოცირდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. ასევე, არსებობს ძლიერი სწრაფვა ინტერნაციონალიზაციისკენ, რომლის მიზანია მიაღწიოს საუკეთესო საერთაშორისო უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო დონეს.

- უსდ-ის ხარისხის კულტურა და ხარისხის დაზღვევის მექანიზმი კარგად არის ჩამოყალიბებული და უმაღლესი ხარისხისაა.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზანია მაღალი დონის და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი დოქტორანტების მომზადება სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში. ამისათვის ის ყურადღებას ამახვილებს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების როგორც არსებულ, ისე თანამედროვე სფეროებზე, როგორებიცაა მიკრობიოლოგია/იმუნოლოგია (ფაგის ბიოლოგიისა და თერაპიული გამოყენების ჩათვლით), ნეირომეცნიერება, უჯრედისა და ქსოვილის ბიოლოგია/ქსოვილოვანი ინჟინერია, ექსპერიმენტული ონკოლოგია და გენეტიკა. ასეთი თემები შეუცვლელია სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს მიზნები ასევე ხაზგასმით აღინიშნა მეცნიერებისა და დამსაქმებლების გასაუბრების დროს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ამ დარგების სპეციალისტები საჭიროა საქართველოში ბიოსამედიცინო სექტორის განვითარების გასამდიერებლად. ამ მიზნების მისაღწევად, პროგრამა დაყოფილია სასწავლო კომპონენტად, რომელიც დაკომპლექტებულია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო მოდულებით და სადოქტორო კვლევით ნაწილად, რომელიც ტარდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირებულ ლაბორატორიებში. პროგრამის სტრუქტურა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს კრედიტების განაწილების კუთხით სავალდებულო მეთოდოლოგიურ მოდულებსა და არჩევით საგნებს შორის, სადაც აქვთ არჩევანის შესაძლებლობა მოწინავე მეთოდოლოგიასა და დისციპლინურ მოდულებს შორის. ეს შეადგენს 60 კრედიტს. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტს უნდა მოჰყვეს სადოქტორო ნაშრომის დაცვა და პირველი ავტორის მინიმუმ ერთი პუბლიკაცია, რომელიც ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს დოქტორის საერთაშორისო მოთხოვნებს. საერთო დატვირთვა რეალისტურია და შეესაბამება მაღალი დონის სადოქტორო განათლებას თანამედროვე ბიოლოგიაში.

თვითშეფასების ანგარიშით, კომიტეტისთვის მიწოდებული დოკუმენტებით (მაგ. პროგრამის შინაარსი) და გასაუბრებით ნათელია, რომ პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია უმაღლესი სასწავლო დაწესებულების შედეგებთან, რომელიც მიისწრაფვის საუკეთესო საერთაშორისო სამეცნიერო დონისაკენ, ახალი და გარკვეულწილად დამანგრეველი მიდგომებისაკენ სწავლებასა და სწავლაში, ასევე ინტერდისციპლინურობისა და მოდულურულობისაკენ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოქტორანტურის დონეზე ისეთი ამოცანების შესასრულებლად, რომლის მიზანია სტუდენტების თვალსაწიერის გაფართოება, რომელიც ცდება დისციპლინური ცოდნისა და ტექნიკური

კომპეტენციების დონეს. საერთო ჯამში პროგრამა მისდევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ზოგად ფილოსოფიას, ანუ სწავლას კეთებით.

გასაუბრების დროს აღმოჩნდა, რომ ეს პროგრამა შექმნილია ეკოსისტემური ხედვით, რომელიც აკავშირებს სწავლებას კვლევით ლაბორატორიებთან, ინსტიტუტებთან, სოციალურ-ეკონომიკურ პარტნიორებთან და ჯანდაცვასთან კერძო/არაკომერციული საავადმყოფოს მეშვეობით, რომელიც უკავშირდება უმაღლეს სასწავლებელს. ასევე არსებობს ძლიერი სწრაფვა ინტერნაციონალიზაციისკენ, რომლის მიზანია მიაღწიოს მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო დონეს. ეს მისასაღებელია, რადგან ასეთი ხედვა საჭიროა მოწინავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების განსახორციელებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

○ თვითშეფასების ანგარიშიდან და ექსპერტებისთვის მიწოდებული დამატებითი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კრედიტების განაწილება, შემოთავაზებული თემები თეორიული კურსებისთვის და კვლევითი საგნები შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და აგებულებას.

○ გასაუბრების დროს წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თავიანთი პროგრამის შემუშავებისას ისინი ეყრდნობოდნენ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ფართო დისკუსიის შედეგებს, რომლებიც ფოკუსირებული იყო საზოგადოების საჭიროებების ანალიზზე, დოქტორანტების მომზადებასა და დასაქმებაზე.

○ ვიზიტის დროს ცხადი გახდა, რომ როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი საშუალებები კარგად არის ადაპტირებული ბიოსამედიცინო სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დარგში დოქტორანტის მოსამზადებლად. დაწესებულებები კარგად არის აღჭურვილი უჯრედის შესასწავლად, ვიზუალიზაციისთვის (Zeiss-თან მჭიდრო თანამშრომლობით), მაღალი გამტარუნარიანობის მიღწევით. საყურადღებოა, რომ საუნივერსიტეტო საავადმყოფოს საშუალებით, კვლევით დაწესებულებას წვდომა აქვს სისხლის ბანკზე, რომელიც არის განსაკუთრებული საშუალება სადოქტორო პროექტებისთვის, რომელიც იყენებს გენომური მიდგომებს. (მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის, შესაბამისი დოკუმენტები და გასაუბრების შედეგები).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ სასურველია პროგრამამ პირველი სტუდენტები (მათ შორის საერთაშორისო სტუდენტები) შეძლებისდაგვარად სწრაფად აიყვანოს, რათა მათ ასევე სწრაფად დაიწყონ მუშაობა ლაბორატორიაში.

○ წარმატებული და მიმზიდველი სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სტუდენტების დაფინანსება/ხელფასი დოქტორანტურის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ შედის სტანდარტების მოთხოვნაში, ჩვენ ვურჩევთ პროგრამას და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობას, გაითვალისწინონ ეს საკითხი საუკეთესო სტუდენტების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|--------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------|
| 1.1 პროგრამის მიზნები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კურსის დახასიათებასა და შედეგებს, და ყველა მასთან დაკავშირებულ საკითხს შორის კავშირი შეიძლება უფრო ნათლად და კონკრეტულად ყოფილიყო აღწერილი თვითშეფასების ანგარიშში, რომელშიც მეტისმეტად ხშირადაა მითითება სხვა დოკუმენტებზე, რაც ართულებს კითხვას. მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ პროგრამა მიზნად ისახავს დოქტორანტებს მისცეს სამეცნიერო განათლება სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში „სწავლა კეთებით“ მიდგომით. სწავლის შედეგები ფოკუსირებულია სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებსაც შეუძლიათ ჩაატარონ კვლევა და/ან იმუშაონ ბიოქიმიაში, მიკრობიოლოგიაში/იმუნოლოგიაში და ნეირომეცნიერებებში ძალიან კარგ ან შესანიშნავ საერთაშორისო დონეზე. ამ თვალსაზრისით პროგრამის მიზანია მოამზადოს დამოუკიდებელი მეცნიერები, რომლებსაც შეუძლიათ კრიტიკული მსჯელობა, რთული პრობლემების გადაჭრა და დამატებითი სარგებლის მოტანა ქართულ საზოგადოებისთვის. სწავლის მოცემული შედეგები გონივრული გზით მიიღწევა სასწავლო მოდულების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების (მოლეკულური ბიოლოგია და გენეტიკა; ბიოქიმია) ძირითად მოლეკულურ მექანიზმებს, რომლებიც აუცილებელია მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის გასაგებად. ისინი ასევე ძალიან კარგად უკავშირდება დოქტორის კვლევითი ნაწილისთვის ხელმისაწვდომ პროექტებსა და ობიექტებს (სექვენირება, სისხლის ბანკი..).

განმცხადებლების შესახებ ინფორმაციისა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება ოდნავ განსხვავდებოდეს, კურსების შინაარსი შემუშავებული უნდა იყოს იმგვარად, რომ მომდევნო წლებში შესაძლებელი იყოს მათი მოდიფიკაცია (მაგ. ნეირომეცნიერება, მონაცემები).

ამ პროგრამის თავისებურებაა სხვადასხვა აკადემიური მონაცემების მქონე სტუდენტების მიღება, როგორცაა ბიოლოგიის, ქიმიის ან ბიოფიზიკის მაგისტრი ან ეკვივალენტური აკადემიური ხარისხის მქონე, დიპლომირებული მედიკოსი (MD), სტომატოლოგიის დოქტორი, ვეტერინარი ან ეკვივალენტი. შესაბამისად, მათ შეიძლება არ ჰქონდეთ ერთი და იგივე დონის ცოდნა ბიოლოგიის სხვადასხვა დარგში. სწავლის შედეგების რეალისტური მიღწევისთვის, პროგრამა გთავაზობთ დისციპლინურ მოდულებს, რომლებიც იწყება საბაზისო ცოდნით, რაც შეიძლება კარგი იდეს იყოს სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ კონკრეტული საკითხების ცოდნა გაუთვითცნობიერებელი, მაგრამ მეტად უსარგებლო და ოდნავ მოსაწყენი მათთვის, ვისაც უკვე აქვს დიდი გამოცდილება მოცემულ საკითხში. ასეთი საკითხი და გაუმჯობესების შესაძლებლობები მოგვიანებით იქნება განხილული მოცემულ ანგარიშში. სასწავლო კომპონენტი დაკომპლექტებულია არადისციპლინური მოდულებისაგან შემდგარი კურსებით, რომელთა

უპირველესი მიზანია დოქტორანტი აღჭურვოს ეფექტური უნარ-ჩვევებით და კვლევის საშუალებით სწავლებით. ეს კურსები მოიცავს: სადოქტორო კვლევის ბაზისურ ინსტრუმენტებს; სწავლების მეთოდებს 1 და 2, სემინარი 1 და 2 (2 არის არჩევითი), რომელიც წარმოადგენს ძალიან სასარგებლო მეთოდოლოგიურ მოდულებს დოქტორანტებისთვის.

გასაუბრებებისა და დაწესებულებების მონახულების დროს ცხადი გახდა, რომ საუკეთესო/წარჩინებული დოქტორანტების ჩამოყალიბება სჭირდებოდა როგორც დამსაქმებელს, ასევე ქართულ საზოგადოებას. COVID-ის კრიზისის შემდეგ, შრომის ბაზარი Biotech/Medtech სფეროში ფართოვდება, არა მხოლოდ ტექნიკოსებისთვის, არამედ მაღალკვალიფიციური მეცნიერებისთვისაც, რომლებსაც შეუძლიათ წამყვანი როლი შეასრულონ მოწინავე სტარტაპებში და უფრო დიდი კომპანიებისა თუ ინსტიტუციების ჩამოყალიბებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში, სადოქტორო პროგრამა სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში ზოგადი ინფორმაცია,
- კურსების სია, სილაბუსები და შინაარსი, რომელიც აღწერს თითოეული კურსის შინაარსს და შეფასების მეთოდს
- გასაუბრება პერსონალთან
- გასაუბრება დამსაქმებლებთან და დაინტერესებული მხარეებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ პროგრამაში.

რეკომენდაციები:

○ რეკომენდაციები, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს უსდ –მ, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ გირჩევთ, არჩევითი სამეცნიერო კურსის შინაარსის გაფართოებას, რათა აღმოფხვრას ის ხარვეზები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს უჯრედულ ბიოლოგიასა და ნეირობიოლოგიაში. აღსანიშნავია, რომ ასეთი მოდულურობის დამატების პრინციპი ძალიან დადებითად მიიღეს გასაუბრების დროს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|--------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
-
- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული მეთოდოლოგიის, მექანიზმებისა და პროცედურების დეტალურ აღწერას. გათვალისწინებული დებულების შესაბამისად, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის შეფასებაში გამოყენებულია როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირი მეთოდი სტუდენტების ცოდნას აფასებს მათ მიერ შესრულებული ამოცანების საფუძველზე (ძირითადად ფასდება სადოქტორო ნაშრომის

შესრულებისა და დაცვის დროს), ხოლო არაპირდაპირი მეთოდით ხდება მოსაზრებების შეგროვება დაინტერესებული მხარეებისგან, როგორებიცაა სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები გამოკითხვების, ურთიერთშეფასების და სხვ. საშუალებით, რომლებიც გამოიყენება სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად.

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა ხელმძღვანელობს პროგრამის სასწავლო გეგმის რუკით, რომელიც ასახავს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთობას. სასწავლო გეგმის რუკა ლოგიკურად წარმოაჩენს, თუ როგორ მიიღწევა სწავლის თითოეული შედეგი სავალდებულო კურსების მეშვეობით, რომელიც ფოკუსირებულია ათვისებაზე, გაუმჯობესებასა და განმტკიცებაზე.

პროგრამაში სწავლის შედეგების განვითარების ციკლი ლოგიკურად არის აღწერილი თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკისა და საერთო პროგრამის სწავლის შედეგების გათვალისწინებით. გარდა ამისა, შექმნილია რუკა, რომელიც ასახავს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის კავშირს, რომელშიც ლოგიკურადაა წარმოჩენილი სავალდებულო სასწავლო კომპონენტებსა და პროგრამის მიზნებს შორის კავშირი.

სწავლის შედეგების დეტალური შეფასება სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამისთვის ასახულია სწავლის შედეგების გეგმაში. გეგმაში ნათლადაა დაკონკრეტებული შეფასების მეთოდები (პირდაპირი და ირიბი), რომლებიც გამოიყენება თითოეული სასწავლო შედეგისთვის, განსაზღვრავს შეფასების პერიოდებს, ადგენს სამიზნე ნიშნულებს და ადეკვატურად განსაზღვრავს სწავლის თითოეულ შედეგს. შეფასების გეგმა შეესაბამება დაწესებულების წესებს და ითვალისწინებს სწავლის სფეროსა და კურსდამთავრებულის დონეს, მოიცავს შეფასების შესაფერის პერიოდებს, ფორმებსა და მეთოდებს.

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში ასევე გამოყენებულია არაპირდაპირი მეთოდი, როგორიცაა სტუდენტების თვითშეფასება, აკადემიური პერსონალის დაკვირვება, დამსაქმებელთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და ა.შ. 2023 წელს ჩატარებული დამსაქმებლებისა და ბაზრის კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნების დადგენას და პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის შესაბამისობას სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დარგის კურსდამთავრებულთა კომპეტენციებთან. 2022 წელს ჩატარებულმა კურსდამთავრებულთა გამოკითხვამ შეაფასა პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, ე.წ. „ადრეული სადიაგნოსტიკო გამოკითხვის“ (სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი) საფუძველზე, რამდენიმე მოდულის კურსი, როგორცაა „კვლევის მეთოდოლოგია I“, კვლევის მეთოდოლოგია II, „საზოგადოებრივი ჯანდაცვა I“ და „საზოგადოებრივი ჯანდაცვა II“ შეიცვალა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- კითხვარები და ოქმები (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, ადრეული დიაგნოსტიკის ანგარიში, ბაზრის კვლევა, ხარისხის სამსახურის ჩანაწერები);
- გასაუბრების შედეგები;

რეკომენდაციები:

○ რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც უკვე განვმარტეთ, პროგრამა შემუშავებულია უსდ-ის ამბიციური ეკოსისტემური მიზნისა და „სწავლა კეთებით“ მეთოდოლოგიის ფარგლებში. ამ ეტაპზე პროგრამა ასევე განმსჭვალულია იმ პერსონალის ხედვით, რომელმაც ის შექმნა, შესაბამისად, აქცენტი გადატანილია მიკრობიოლოგიაზე, რაც დადასტურდა გასაუბრების დროს. პროგრამას ასევე მჭიდრო კავშირი აქვს ადგილზე არსებულ კვლევით ობიექტებთან: გენომიკა, ანალიტიკა, უჯრედული ბიოლოგია, გამოსახულება, ნიმუშები და მონაცემები ახლომდებარე საუნივერსიტეტო საავადმყოფოდან. ერთად აღებული, ნვუ-ის სხვადასხვა აქტივები კარგადაა გამოყენებული. საყურადღებოა, რომ როგორც გასაუბრებებიდან დადგინდა, გაიმართა დისკუსიები სამეცნიერო და სასწავლო პერსონალსა და სხვა სადოქტორო პროგრამებს მიკუთვნებულ სტუდენტებს შორის, ასევე შესაძლო დამსაქმებლებთან. პასუხისმგებელმა პირებმა ასევე შეადგინეს კითხვარები, რომლებიც უნდა შეეცხო ყველა დაინტერესებულ მხარეს. მათ დაამუშავეს მონაცემები.

კურსები ლოგიკურადაა ორგანიზებული და შესაბამისობაშია სადოქტორო პროგრამასთან და გარკვეულწილად მისი (ჯერ კიდევ შეზღუდული) მოდულურობა, ისევე როგორც ის ფაქტი, რომ თითოეულ სტუდენტს ექნება საკუთარი კვლევითი პროექტი, კარგად უზრუნველყოფს აქ ჩატარებული კვლევების ინდივიდუალურობას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს სურს ხაზგასმით აღნიშნოს, რომ სასურველია მეტი მოდულურობა დაემატოს პროგრამას ანგარიშში შემდგომ ახსნილი მიზნების გამო.

დოქტორანტურის ექსპერიმენტულ კვლევით პროექტთან დაკავშირებით, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას შეუძლია განაცხადი გააკეთოს სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში თავისი ღია ლაბორატორიით, სადაც თითოეულ დოქტორანტს შეუძლია იმუშაოს კლასიკური ბიოლოგიის ლაბორატორიისათვის ძალიან კარგი აღჭურვილობების გამოყენებით, სექვენირებასა და გენომიკაში სისხლის საანალიზო საშუალებებით (განსაკუთრებით კიბოს თერაპიის კონტექსტში) და სისხლის ბანკით. დოქტორანტები ასევე სარგებლობენ უჯრედის შემსწავლელი თანამედროვე კაბინეტით და მაღალი რეზოლუციის კონფოკალური მიკროსკოპით Zeiss-თან თანამშრომლობით. გარდა ამისა, ამ პროგრამის სწავლების ენა არის ინგლისური, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ინტერნაციონალიზაციას მათი უნარის გამოყენებით, რომ ჩაერთონ გაცვლით სამეცნიერო პროგრამებში მთელი მსოფლიო მასშტაბით.

მოცემული პროგრამის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ჯერჯერობით არ არის მკაფიოდ რეკლამირებული, მაგრამ ეს მეტწილად გამოწვეულია იმით, რომ მან მიიღო პირობითი აკრედიტაცია 1 წლის განმავლობაში, რამაც სადოქტორო პროგრამა ჩააყენა ძალიან მძიმე, თუ არა გამოუვალ სიტუაციაში, რაც აძნელებს სტუდენტების მოზიდვასა და პროგრამის ამოქმედებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დოკუმენტები.
- გასაუბრება
- დანადგარებისა და აღჭურვილობის მონახულება

რეკომენდაციები:

○ რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

o გთხოვთ, იფიქროთ მეტი სამეცნიერო არჩევითი საგნების დამატებაზე და ასევე შეფასების მეთოდის შეცვლაზე

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შესაბამეობა მოთხოვნებს |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საერთო ჯამში, სტრატეგია „სწავლა კეთებით“ ჩართულია საგანმანათლებლო კომპონენტთან უმეტესობაში, რაც გამყარებულია მრავალი პრაქტიკული აქტივობით დატვირთული კურსებით.

პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტი შედგება 60 ECTS კრედიტისგან და მოიცავს 3 სავალდებულო/აუცილებელ სასწავლო კურსს (სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები, სწავლების მეთოდები I და სემინარი I) თითოეულში 15 კრედიტით და ერთ არჩევით კურსს 15 კრედიტით. შემოთავაზებული არჩევითი კურსებია სწავლების მეთოდები II, სემინარი II, მოლეკულური ბიოლოგია და გენეტიკა, იმუნოლოგია და ვირუსოლოგია და ბიოქიმია. თუმცა, არ არის შემოთავაზებული არჩევითი კურსი ნეირობიოლოგიის/ნეირომეცნიერების სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის კვლევის სფეროები მოიცავს შემდეგს: (i) ნეირომეცნიერება / უჯრედული და მოლეკულური ნეირობიოლოგია / სინაფსური პლასტიურობა ჯანმრთელობასა და დაავადებაში და (ii) ნეირომეცნიერება / უჯრედული და მოლეკულური ნეირობიოლოგია / ნეიროტოქსიკოლოგია.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო მოდულების შინაარსი და მოცულობა საათებში საკმაოდ მაღალია (> 180 საათი). უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, ყოველკვირეული აქტივობების განმავლობაში უფრო მეტი საკონტაქტო საათია მითითებული, ვიდრე საათების საერთო რაოდენობაა სილაბუსებში. გასაუბრების დროს ახსნილი იყო, რომ რადგან სტუდენტები განსხვავებული განათლებით არიან, ზოგიერთს შეიძლება არ ჰქონდეს საკმარისი ცოდნა სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების კონკრეტულ სფეროში. სტუდენტებს ასევე მოეთხოვებათ დამოუკიდებლად სწავლა დაახლოებით 380 საათის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების მაქსიმალურად სრულყოფილად მომზადების განზრახვა

მისასაღმებელია, კურსების ასეთი მოცულობა შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს, რადგან დოქტორანტებს საშუალება მიეცეს, რომ სწრაფად ისწავლონ და ასევე ჰქონდეთ მნიშვნელოვანი სამეცნიერო პრაქტიკა წინა სწავლებიდან. ზედმეტი იმედგაცრუების თავიდან ასაცილებლად, ჩვენ ვურჩევთ, რომ გაიზარდოს ამ კურსების მრავალფეროვნება და მოდულურობა. შეიძლება ეს იყოს არჩევითი გადასამზადებელი კურსები განსხვავებული ფონის ადამიანებისთვის, ან უფრო რთული კურსები მოწინავე ბიოლოგიის სტუდენტებისთვის.

პროგრამაში ასევე მკაცრად ჩამოთვლილი და მოითხოვება სავალდებულო და სხვა მასალები, რომლებიც ძალიან კარგად არის ჩამოთვლილი ექსპერტთა ჯგუფისთვის მიწოდებულ დოკუმენტებში და მოიპოვება ბიბლიოთეკაში (თუმცა სრულად არ ჩანდა ვიზიტის დროს). რამდენადაც ეს არის ძალიან ამბიციური სადოქტორო პროგრამა, რომელიც ზედმეტად ფოკუსირებულია სახელმძღვანელოების ლიტერატურაზე, რაც კარგია უმეტეს კონტექსტში, ეს შეიძლება არ წარმოადგენდეს სწავლების ადეკვატურ მეთოდოლოგიას დოქტორანტურის დონეზე. მაგალითად, ზოგიერთი არჩევითი საგნის თემები ზედმეტად ზოგადია და ამ სფეროში ზოგიერთი უახლესი ტენდენციების ჩართვა სასარგებლო იქნებოდა (მაგ., ეპიგენეტიკა). ვინაიდან უსდ-ის სტრუქტურა და ამბიცია საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნას ინოვაციური მიდგომები, ექსპერტთა არსებული ჯგუფი ასევე მოუწოდებს პერსონალს, გამოიყენონ კვლევაზე ორიენტირებული ინტერაქციული სწავლება დოქტორანტურის დონეზე (მაგ. შებრუნებული საკლასო ოთახი, პრობლემის გადაჭრის საფუძველზე სწავლება, ღია დისკუსია და ა.შ.).

სემინარის და სწავლების მოდულების საკონტაქტო საათები უფრო შეზღუდულია (სწავლების მეთოდები I –63 საათი, სემინარი I –35 საკონტაქტო საათი), მაგრამ მაინც ინდივიდუალური სამუშაოს მაღალი შემცველობით, რაც ლოგიკურია ასეთი მეთოდოლოგიური მოდულებისთვის.

სტუდენტის შეფასების მეთოდები (იხილეთ ამ მოხსენების შემდგომი თავები), რომელიც სწავლის მნიშვნელოვანი ნაწილია (განსაკუთრებით იმის გამო, რომ ის შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც განმავითარებელი შეფასება) სამეცნიერო მოდულებისთვის ზედმეტად ვიწრო ჩანს, რადგან ის შედგება მრავალჯერადი არჩევანის კითხვებზე პასუხებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება ძალიან რთული იყოს, კარგად შემუშავების შემთხვევაში, დოქტორანტურის დონეზე შეფასების ზოგიერთი სხვა მეთოდი (მაგ. პრობლემის გადაჭრა, ესეს წერა, სამეცნიერო სტატიების ანალიზი და ა.შ.) უკეთ მიესადაგება ღიაობისა და აკადემიური სრულყოფილების სულისკვეთებას, რომელსაც ხელს უწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და აღნიშნული პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები
- პროგრამის კვლევის სფეროები
- სადოქტორო პროგრამის აღწერა სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება; თვითშეფასების ანგარიში და კურსების შინაარსი, რომელიც მოცემულია დამატებით დოკუმენტებში;

რეკომენდაციები:

○ რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- დაამატეთ ნეირობიოლოგიის/ნეირომეცნიერების ერთი ან მეტი არჩევითი კურსი
- შეასწორეთ შეუსაბამობა კვირეულსა და საერთო საკონტაქტო საათებს შორის სილაბუსებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|----------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 1.5. სასწავლო კურსი/საგანი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან

| | | |
|--|---|-------------------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: მაგისტრის ხარისხი ბიოლოგიაში, ქიმიაში ან ბიოფიზიკაში ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; დიპლომირებული მედიკოსი (MD), სტომატოლოგიის დოქტორი, ვეტერინარი და ამ კვალიფიკაციების ექვივალენტი. უცხოური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისთვის ჩარიცხვა ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად.

ინგლისური ენის ცოდნა C1 დონეზე (ცოდნის დამადასტურებელი საბუთი როგორცაა TOEFL, IELTS სერთიფიკატი) ან უნივერსიტეტის გამოცდის ჩაბარება).

კანდიდატმა უნდა მიმართოს სადისერტაციო საბჭოს სადოქტორო ნაშრომის სავარაუდო დასახელების, სტრუქტურისა და სასურველი ხელმძღვანელის მითითებით. აპლიკანტმა ასევე უნდა წარმოადგინოს სადოქტორო კვლევის იდეა - პროსპექტი და გაიაროს გასაუბრება წინასწარ შერჩეულ დარგის სპეციალისტებისგან შექმნილ კომიტეტთან. შეფასების კომპონენტები განსაზღვრულია და მხარდაჭერილია შესაბამისი დოკუმენტით.

ერთად აღებული, დაშვების წინაპირობები კარგად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- შეფასების კომპონენტები
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

○ რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-----------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.1. პროგრამაზე | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა სტუდენტებს უზრუნველყოფს პროფესიული და ტრანსფერული უნარებით, რაც მათ საშუალებას აძლევს დაეუფლონ ცოდნას, პრაქტიკული უნარებს, ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობას, რომელიც აუცილებელია კვლევის ჩასატარებლად, სამეცნიერო შრომის დასაწერად და კვლევის შედეგების წარსადგენად პროფესიულ საზოგადოებაში.

შემოთავაზებული კურსების უმეტესობა გულისხმობს „სწავლას კეთებით“ და ეს მიდგომა იწყება უკვე პირველი სემესტრიდან ისეთი საგნებით, როგორცაა „სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები“, „სწავლების მეთოდები I“. ყველა სავალდებულო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტის მომზადებას კვლევის ინსტრუმენტებისა და პრაქტიკული უნარების გამოყენებაში, კვლევითი პროექტების შემუშავებასა და დაგეგმვაში, პროექტების წარდგენაში პირველადი და მეორადი წყაროების გამოყენებით. გამოიყენება უმაღლეს განათლებაში არსებული სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, მიმდინარე ტენდენციები და მიდგომები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დისციპლინური კურსები ასევე შეესაბამება სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებს, მაგრამ ჩვენ მოვუწოდებთ პერსონალს, რომ ის უფრო მოქნილი გახადოს (მეტი არჩევითი საგნებით), უფრო ინტერაქტიული და იფიქრონ შინაარსის დონეზე.

ამასთან, დოქტორანტი ატარებს ინდივიდუალურ სადოქტორო კვლევას ხელმძღვანელთან ერთად. ხელმძღვანელი პასუხისმგებლობას იღებს უხელმძღვანელოს კანდიდატს, კვლევის პროცესში შეინარჩუნოს ადეკვატურობა და დარწმუნდეს, რომ კვლევის თემა შეესაბამება თანამედროვე ტენდენციებს, ხოლო კანდიდატი მუშაობს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად.

აკადემიური წერის სტანდარტების შესახებ უნივერსიტეტს აქვს დოკუმენტი, რომელიც მკაფიო მითითებებს აძლევს კანდიდატებს, თუ როგორ უნდა მოამზადონ სადოქტორო ნაშრომი. ის, ასევე, მოითხოვს ერთ რეცენზირებულ სამეცნიერო სტატეას სადოქტორო დაცვისთვის, რაც ძალზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა დაცული სადოქტორო ნაშრომის სამეცნიერო ხარისხის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერილობა
- CV-ები
- ადგილზე ვიზიტი
- აკადემიური წერის სტანდარტები

რეკომენდაციები:

ორეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

o არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------|
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღსანიშნავია, რომ ეს პროგრამა ჯერ ვერ ფუნქციონირებს. ამიტომ შეუძლებელი იყო იმ სტუდენტებთან გასაუბრება, რომლებიც სასწავლო გეგმას მიჰყვებიან. თუმცა თვითშეფასების ანგარიშიდან, დამატებითი დოკუმენტებიდან, სხვადასხვა გასაუბრებიდან და უსდ-ის დოქტორანტებთან საუბრებიდან (როგორც ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა) მიღებული ინფორმაციის თანახმად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველამ დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. სწავლების მეთოდები შეესაბამება სადოქტორო საფეხურს. კერძოდ, კურსების დიდი ნაწილი გამიზნულია იმისთვის, რომ სტუდენტს მიაწოდოს შესაბამისი ცოდნა, რათა გახდეს წარმატებული დოქტორი. კურსები ისეა შედგენილი, რომ სტუდენტებს უვითარებს აქტიურ და პროექტზე ორიენტირებულ დამოკიდებულებას. აღსანიშნავია ისიც, რომ სადოქტორო პროგრამაში ექსპერიმენტული ნაწილი წარმოადგენს კრედიტების 2/3-ს. კვლევითი და ბევრი ტრანსფერული უნარი ისწავლება თავად კვლევითი პროექტის საშუალებით. გასაუბრებიდან, ლაბორატორიებში და დაწესებულებებში ვიზიტებიდან ირკვევა, რომ

როგორც უკვე აღვნიშნეთ დისციპლინური მოდულების შინაარსთან და შეფასებასთან დაკავშირებით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო ღია მიდგომა სწავლების მეთოდებში და შინაარსის შერჩევაში: მაგ. ინტერაქციული კურსები, ნაკლები სახელმძღვანელოებიდან მიღებული ცოდნა, მეტი თანამედროვე შინაარსი, არჩევითი საგნების დიდი არჩევანი, მეტი არგუმენტირებული შეფასება. ეს

მიდგომა უკეთესად მოერგება საერთაშორისო სადოქტორო კურსების შინაარსობრივ სტრუქტურას და უსდ-ის სულისკვეთებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- კურსების შინაარსი და სილაბუსები
- გასაუბრება და დაწესებულებაში ვიზიტი

რეკომენდაციები:

○ რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|-------------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 2.3. სწავლებისა და სწავლის მეთოდები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ის გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რაც შეეხება სადოქტორო პროგრამის კურსების სწავლებისას შეფასების კრიტერიუმებს, სტუდენტს შეუძლია მოიძიოს სილაბუსებში ასახული ინფორმაცია. ეს ინფორმაცია სტუდენტს გამჭვირვალედ და ნათლად აჩვენებს თუ როგორ ასწავლიან და აფასებენ მას. ამ მიმართულებით, გირჩევთ სამეცნიერო მოდულების შეფასებისთვის აღარ გამოიყენოთ კითხვები რამდენიმე სავარაუდო პასუხით.

პროგრამის განმავლობაში განხორციელებული კურსების გარდა, შეფასების სისტემის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია თავად ნაშრომის შეფასება. დოქტორანტს მიეცემა უფლება დაიცვას დისერტაცია მას შემდეგ, რაც გაივლის პროგრამის სასწავლო კომპონენტს, მიიღებს ხელმძღვანელის რეკომენდაციას

სადოქტორო ნაშრომის დაშვებასთან დაკავშირებით და ორ დადებით შეფასებას შემფასებლებისგან, რომლებსაც თავად საბჭო ნიშნავს, ხოლო თითოეული ქულის კომპონენტს მიენიჭება 60 ქულის მინიმუმ 50%. მათ ასევე უნდა გამოაქვეყნონ პირველი საავტორო რეფერირებადი/რეცენზირებადი სტატია ორ შემფასებელს შორის ძალიან განსხვავებული მოსაზრებების შემთხვევაში, როგორცაა უარყოფითი და დადებითი შეფასება ან თუნდაც ორივე დადებითი, მაგრამ 15 ქულის სხვაობით, მაშინ დაემატება მესამე შემფასებელი და იგივე პრინციპი იქნება გამოყენებული. იმ შემთხვევაში, თუ მესამე შემფასებელი შეაფასებს დამტკიცებული 60 ქულის 50%-ით მაინც, მაგრამ სადოქტორო ნაშრომი კანდიდატს დაუბრუნდება, მაშინ მას ეძლევა ერთწლიანი ვადა გამოსასწორებლად.

რაც შეეხება თავად სადოქტორო ნაშრომის დაცვას, მისი შეფასება არ არის დამოკიდებული ნაშრომის შეფასებაზე. დაცვა შეადგენს ⅓-ს, ხოლო სადოქტორო ნაშრომის ⅔-ს.

სადოქტორო ნაშრომი ითვლება დაცულად, როდესაც საბოლოო შეფასებაა:

91-100 ქულა - ფრიადი (summa cum laude); 81-90 ქულა – ძალიან კარგი (magna cum laude);
 71-80ქულა – კარგი (cum laude);
 61-70ქულა-დამაკმაყოფილებელი (bene); ან
 51-60 ქულა - საკმარისი (rite).

41-50 ქულის შემთხვევაში, რომელიც შეფასებულია როგორც „შეუსაბამო“, სადოქტორო ნაშრომის წარდგენა და ხელახლა დაცვა შესაძლებელია ერთი წლის განმავლობაში და განცხადება განმეორებით დაცვასთან დაკავშირებით წარედგინება საბჭოს.

მთლიანობაში, ჩანს, შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და შეესაბამება ამ სტანდარტის მოთხოვნებს. ასევე, შეფასების სისტემა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს ხელახლა წარადგინონ/დაიცვან თემა კრიტერიუმების საფუძველზე, რაც მას სამართლიანს ხდის და პროგრამაში აქტიური სტუდენტების ჩართვის შემთხვევაში, ეს სისტემა ადვილად დაინერგება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სილაბუსები
- ნიუ ვიქენის უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება - https://newvision.ge/wp-content/uploads/2020/11/nvu_dissertation_board_regulation.pdf
- სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაციები:

○ რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
|------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|

| | | | | |
|---------------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| 2.4. სტუდენტების შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
|---------------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|-------------------------------------|
| 2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამა ამჟამად აქტიური არ არის და სტუდენტები არ ჰყავს, როგორც ჩანს, მექანიზმები და სერვისები, რომელთა განხორციელებასაც უნივერსიტეტი აპირებს, სტანდარტებს შეესაბამება. კურსის დასაწყისში სტუდენტებს აქვთ საორიენტაციო შეხვედრა, სადაც აჩვენებენ და განიხილავენ პროგრამას, ოფისებს, სტრუქტურულ ერთეულებს და სხვა ელემენტებს, რომლებიც საჭიროა საუნივერსიტეტო წლების განმავლობაში. როდესაც ექსპერტთა ჯგუფი ბიბლიოთეკას ეწვია, აღინიშნა, რომ ამ დაწესებულებაში ასევე ჩატარდა საორიენტაციო შეხვედრები, რათა სტუდენტები გასცნობოდნენ მონაცემთა ბაზას და ყველაფერს, რასაც სთავაზობდნენ. სიახლეებთან და პრობლემებთან დაკავშირებით, სტუდენტებს შეუძლიათ მიმართონ სტუდენტური მომსახურების ცენტრს. სტუდენტური მომსახურების ცენტრი სტუდენტებს ეხმარება ელექტრონული ფოსტით, პირადად ან სატელეფონო გასაუბრებით.

დოქტორანტებისთვის, რაც მთავარია, ნიუ ვიჟენის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კარიერულ მხარდაჭერას. კარიერული მხარდაჭერის სამსახური მომსახურებას უწევს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს კარიერის დაგეგმვის, დაკავშირების და რეფერირების გზით, რათა გაზარდოს მათი დასაქმების შესაძლებლობები. სტუდენტებს საშუალება აქვთ შეხვდნენ მრჩეველებს პირველივე

კურსზე, რათა გაიგონ, თუ რის გაკეთებას აპირებენ. ასევე, დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს ცხადი გახდა, რომ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს ჰქონდა საკმაოდ ბევრი მემორანდუმი და კარგი ურთიერთობა კომპანიებთან, სადაც მათი სტუდენტები მუშაობდნენ. გარდა ამისა, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სტუდენტებს ასევე ეძლევათ დახმარების და უნივერსიტეტში სწავლების შესაძლებლობა, რაც მათ პოტენციურ თანამშრომლებად აქცევს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება - <https://archive.newvision.ge/sites/default/files/regulation.pdf>
- კარიერული განვითარების ცენტრის ვებგვერდი - <https://newvision.ge/eng/career-services/>

რეკომენდაციები:

○ წინადადებები, რომლებიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ნებისმიერი სადოქტორო პროგრამის არსიდან გამომდინარე და ზოგადად, დოქტორანტის მოთხოვნების გათვალისწინებით, ძალიან მნიშვნელოვანია შესაბამისი და მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელებისა და პერსონალის არსებობა, რათა მათ უხელმძღვანელონ სტუდენტებს პროგრამის წარმატებით დასრულებამდე. ხელმძღვანელები უშუალოდ მუშაობენ სტუდენტებთან და წარმოადგენენ პროგრამის ფარგლებში სტუდენტების გამოცდილების მნიშვნელოვან ნაწილს.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში ხელმძღვანელისთვის გაწერილი ძირითადი პასუხისმგებლობები შემდეგი სახისაა:

« დოქტორანტს უწევს აკადემიურ კონსულტაციას საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვის შესახებ.

რეგულარულად ხვდება სტუდენტს, როდესაც ის მუშაობს სადოქტორო ნაშრომზე, აწვდის დროულ უკუკავშირს ნაშრომის სხვადასხვა ნაწილზე და ხელმძღვანელობს სადოქტორო ნაშრომის მომზადების პროცესის მიმდინარეობას.

კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტს შემდეგ თემებზე: სტატიების გამოქვეყნება გავლენის ფაქტორის მქონე და/ან რეფერირებად ჟურნალებში; კვლევითი გრანტების მოპოვება; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; დოქტორანტის ინტეგრაცია სამეცნიერო საზოგადოებაში; კვლევის პროცესში მისი მხარდაჭერა, წახალისება და მოტივირება.

პროფესიული რეზიუმეების განხილვისას და გასაუბრების დროს ცხადი გახდა, რომ პერსონალი, რომელიც ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს და კონკრეტულად ეს პროგრამას ჰყავს, კვალიფიციური და თავისი სფეროს მცოდნეა. შესაბამისად, მათ შეუძლიათ სტუდენტების ხელმძღვანელობა ამ პროგრამის დასრულებამდე.

ეს დადასტურდა გასაუბრებებით და ლაბორატორიაში ვიზიტებით, სადაც გამოჩნდა, რომ პერსონალი ძალიან სპეციალიზებული, მოტივირებული და გამოცდილია კვლევითი პროექტებისა და ლაბორატორიის სტუდენტების მართვაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის პროფესიული რეზიუმეები;
- გასაუბრება
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება - <https://archive.newvision.ge/sites/default/files/regulation.pdf>
- დოკუმენტი - „2020 წლის დებულება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან და დოქტორანტების ხელმძღვანელ(ებ)თან დაკავშირებით“

რეკომენდაციები:

○ რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 3.2. მაგისტრანტა და დოქტორანტა ხელმძღვანელობა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|-------------------------------------|
| 3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამოუმუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიური სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა განაპირობებს პროგრამის განხორციელებას. ეს დატვირთვა განისაზღვრება ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 3 მარტის ოქმით #3. პერსონალის აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო მუშაობა და პრაქტიკული გამოცდილება სათანადოა. მოწოდებულია მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტი.

პროგრამის ხელმძღვანელები არიან 3 მკვლევარი შესაბამის დარგში, დოქტორის ხარისხით და მოპოვებული აქვთ სამეცნიერო წარმატება. პროგრამაში დასაქმებულია 22 თანამშრომელი, რომელთაგან 21 ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია და 18 აფილირებული პერსონალი, რაც წარმოადგენს პროგრამის წარმატებით განხორციელების, ძლიერ საფუძველს.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუძლიათ ადვილად დაუკავშირდნენ ადმინისტრაციულ პერსონალს, ესენია: სკოლის დეკანი, პროგრამის კოორდინატორი, სკოლის მენეჯერი, სტუდენტთა მომსახურების ცენტრის, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, იურიდიული განყოფილების, ბიბლიოთეკის წარმომადგენლები.

გასაუბრებამ აჩვენა, რომ პროგრამის თანამშრომლები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფთან სასაუბროდ მოიწვიეს, ძალიან კვალიფიციურები და მცოდნეები იყვნენ და შეესაბამებოდნენ პროგრამის საჭიროებებს. თითქმის ყველას აქვს დოქტორის ხარისხი (იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი). მათ ასევე აჩვენეს მნიშვნელოვანი მოტივაცია მეცნიერებისა და სწავლებისკენ, უმაღლესი განათლების მიღების გზით. ეს თვისებები აუცილებელია წინამდებარე პროგრამისთვის. პერსონალმა ასევე აჩვენა ძალიან კარგი დამოკიდებულება. ისინი ამყობდნენ ზოგადად უსდ-ის ეკოსისტემური ხედვით და ამ პროგრამით.

პროგრამაში ჩართული ლექტორებისა და კვლევითი პერსონალის რაოდენობა მოცემულია ექსპერტებისთვის მიწოდებულ დოკუმენტებში (თვითშეფასების ანგარიში: პერსონალის სია, რომელშიც მითითებულია მათ მიერ ჩატარებული კურსები) სულ 22 აკადემიკოსია, რომელთაგან 18 აფილირებულია ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტთან. ეს შეესაბამება პერსონალის მნიშვნელოვან რაოდენობას, რომლებიც დაკავშირებულია კურსის შინაარსთან (>12 პასუხისმგებელი პირი სხვადასხვა მოდულზე) და 10 თანამშრომელი, რომლებიც ახორციელებენ დოქტორის კვლევით კომპონენტს. გარდა ამისა, პერსონალის უმეტესობა (19/22) ფლობს დოქტორის ხარისხს, ხოლო 3 - მედიცინის დოქტორის ხარისხს. ეს წარმოადგენს საკმარის სამუშაო ძალას პროგრამის დასაწყებად და უზრუნველყოფს, რომ პერსონალის ყველა წევრი იყოს კვალიფიციური და სპეციალიზებული, რათა უზრუნველყოს სტუდენტების სათანადო მენტორობა. ექსპერტთა ინფორმაციით, პროგრამისთვის არ არის გამოყოფილი ადმინისტრაციული პერსონალი, რაც ლოგიკურია მისი ზომის გათვალისწინებით. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია ადმინისტრაციული პერსონალი, როგორცაა დეკანი, ხელმძღვანელი; პროგრამის კოორდინატორი და მენეჯერი. უნივერსიტეტს ასევე ჰყავს პერსონალი, რომელიც ემსახურება პროგრამაში ჩართულ სტუდენტებს (სტუდენტური მომსახურება, საერთაშორისო ურთიერთობები, ბიბლიოთეკა...). საერთო ჯამში, როგორც ჩანს, ეს საკმარისია ახალი პროგრამისთვის, რომელსაც საწყის ეტაპზე ბევრი სტუდენტი არ ეყოლება.

| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის | მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი |
|--|--|-----------------------|--|--|
|--|--|-----------------------|--|--|

| | | | | |
|-----------------------------|----|---|---------------------------------|----|
| | | მიმართულები თ პერსონალი ⁶ | მქონე პერსონალი ⁷ | |
| სულ აკადემიური პერსონალი | 22 | 22 | 22 | 18 |
| - პროფესორი | 17 | 17 | 17 | 14 |
| - ასოცირებული პროფესორი | 3 | 3 | 3 | 3 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 1 | 1 | 1 | 1 |
| - ასისტენტი | | | | |
| მოწვეული პერსონალი | 1 | 1 | 1 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | - |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თანამშრომლების პერსონალური რეზიუმეები და სხვადასხვა ცხრილი
- თვითშეფასების ანგარიში
- საშტატო ნუსხა კურსების დასახელებებთან ერთად
- პერსონალის სამუშაო დატვირთვა

რეკომენდაციები:

○ რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შესაბამებია მოთხოვნებს |
|---------------------------------|-------------------------------------|---|---|---------------------------------|
| 4.1. ადამიანური რესურსები | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ხელმძღვანელს, შესანიშნავ მიკრობიოლოგს საერთაშორისო გამოცდილებით, შეუძლია სრულყოფილად გაუძღვეს ამ სადოქტორო პროგრამას. ეს ძალიან ცხადი იყო როგორც მისი პირადი მონაცემებიდან (CV) , ასევე მასთან და პროგრამის სხვა წევრებთან ჩატარებული გასაუბრებიდან გამომდინარე.

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული პირადი მონაცემების (CV-ების) ყურადღებით შესწავლისას ჩანს, რომ აღნიშნული პროგრამის პერსონალი შედგება საერთაშორისოდ ცნობადი მეცნიერებისაგან. ისინი აქვეყნებენ ან არიან თანაავტორები კარგიდან შესანიშნავი რეცენზირების მქონე ჟურნალებში, რეგულარულად ესწრებიან საერთაშორისო კონფერენციებს და ზოგიერთმა მათგანმა მოიპოვა ჯილდოები. ამასთან, მათი თემატური სფეროები შესაბამისობაშია პროგრამასთან და აქედან გამომდინარე, შეუძლიათ უხელმძღვანელონ ამ დარგის სადოქტორო ნაშრომს. იმ შემთხვევაში, თუ სადოქტორო კვლევითი პროექტები მოითხოვს ცოდნას ან/და კომპეტენციებს, რომლებიც სრულად არ არის ხელმისაწვდომი ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სტუდენტებს თავიანთი პროექტებისთვის შეუძლიათ აიყვანონ თანახელმძღვანელი გარედან. ეს მნიშვნელოვანი საკითხია როგორც სამეცნიერო ხარისხის უზრუნველსაყოფად, ასევე ახალი თანამშრომლობის ხელშესაწყობად.

აღსანიშნავია, რომ პირადი მონაცემების (CV-ების) შესწავლის შედეგად, არის პერსონალი, რომელიც მუშაობს არაბიოლოგიურ დისციპლინებზე, როგორებიცაა პოლიტიკა/საერთაშორისო ურთიერთობები ან ლინგვისტიკა, რომელსაც შეუძლია საკუთარი ცოდნის გაზიარება იმ თემებზე, რომლებიც მეთოდოლოგიურ კურსებზე ისწავლება.

პროგრამის მსვლელობის მომდევნო წლებში ორი საკითხი იქნება გათვალისწინებული. პირველ რიგში, თუ დაქირავებული სტუდენტების რაოდენობა, პროგრამის თითოეულ ნაწილზე მიაღწევს 3-ს; ამან შეიძლება სწრაფი ტემპით გამოიწვიოს ხელმძღვანელობის საჭიროების მქონე დოქტორანტების რაოდენობის შევსება 19 თანამშრომლისთვის. მეორეც, კვლევითი ობიექტები ამჟამად საკმარისია იმისთვის, რომ უმასპინძლოს დოქტორანტების პირველ ნაკადს, მაგრამ თუკი სტუდენტების რაოდენობა სწრაფად გაიზრდება, შესაძლოა, რაღაც მომენტში სივრცე ძალზე შეზღუდული გახდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ ცხრილები, პერსონალის პირადი მონაცემები (CV-ები); თვითშეფასების ანგარიში, სპეციალისტების ჯგუფთან განხილვები; ლაბორატორიისა და ობიექტების ვიზიტები.

რეკომენდაციები:

ორეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○=პროგრამის წარმატების შემთხვევაში, სტუდენტების რაოდენობა შეიძლება სწრაფად გაიზარდოს. ეს შესაძლოა წინასწარ მოგვერდეს თანამშრომლობაზე დაფუძნებული პროექტებითა და კურსის საათობრივი დატვირთვის შემცირებით (იხ. წინა სექციები), რათა შემსუბუქდეს სასწავლო დატვირთვის ნაწილი მასწავლებელთათვის და ეს დრო დოქტორანტის სწავლებასა და ხელმძღვანელობას დაეთმოს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➤ უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საგანმანათლებლო და აკადემიურ საქმიანობას. პერსონალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს პერსონალური განვითარების გეგმას, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომლების საჭიროებებს და, შესაბამისად, არეგულირებს უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმას.

ხარისხის კულტურის კომიტეტი აფასებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხს, ასევე დაწესებულების პერსონალის პროფესიულ განვითარებას. პერსონალის განვითარების შეფასების მაკოორდინირებელი განყოფილებებია უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების კომიტეტი და პერსონალის განვითარების დეპარტამენტი. ადამიანური რესურსების კომიტეტი ნახევარ წელიწადში ერთხელ აფასებს პერსონალის პროგრესს და საჭიროების შემთხვევაში

ცვლის საწყის გეგმას. უნივერსიტეტი მხარს უჭერს პერსონალს მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევებსა და საგრანტო პროექტებში; დამატებით, უნივერსიტეტი გამოყოფს სტიპენდიებს (ნაწილობრივს ან სრულს) აკადემიური/მოწვეული პერსონალის საზღვარგარეთ სწავლისთვის.

პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება ასევე ხდება ყოველსემესტრულად, სტუდენტთა გამოკითხვის მეშვეობით. კერძოდ, სტუდენტების ელექტრონული გამოკითხვის საფუძველზე მიიღება უკუკავშირი ლექტორების საქმიანობაზე და ხდება შესაბამისი ზომების მიღება (საჭიროების შემთხვევაში). რეგულარულად ფასდება მოდულის ხელმძღვანელები, ისევე როგორც კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელები.

პერსონალი ინფორმირებულია მათი სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობისა და წახალისების შესახებ. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს როგორც თანადაფინანსებას, ასევე სრულ ფინანსურ მხარდაჭერას სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების დაბეჭდვის, კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა სამეცნიერო საქმიანობისთვის. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტში შექმნილია საჭირო პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები და ა.შ.).

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 12 კონკრეტული ტრენინგის/ვორქშოფების/და ა.შ. შესახებ).

პროგრამის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელების მოვალეობები კარგად არის დარეგულირებული და ახსნილი შესაბამის დოკუმენტში (პროგრამის ხელმძღვანელისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის როლები და პასუხისმგებლობები). თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია, რომ უსდ-ს აქვს პერსონალიზებული განვითარების გეგმა თითოეული თანამშრომლისთვის. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი წახალისებულია „გაანალიზოს საკუთარი უნარები და შეიტანოს გარკვეული ცვლილებები მათ პროფესიულ განვითარებაში“ (თვითშეფასების ანგარიში გვ.23). პერსონალს ასევე შეუძლია ისარგებლოს სპეციალური ტრენინგებით სხვადასხვა თემებზე, როგორებიცაა სწავლების ინოვაციური მეთოდები; სტრესის მენეჯმენტი, პერსონალური განვითარების გეგმა, პროფესიული გადაწყვეტილება და ა.შ... (თვითშეფასების ანგარიში, გვ.24), ან ვორქშოფები (პროექტის მენეჯმენტი, ძირითადი შესრულების მაჩვენებლის (KPI) სისტემები და ა.შ....), რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ამ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებისა და მენტორებისთვის. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალი წახალისებულია მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აკადემიური წევრებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელების ბიოგრაფიები
- თვითშეფასების ანგარიშის ნაწილი
- დამატებითი დოკუმენტები პერსონალის დეტალებით პროგრამის მენეჯმენტისთვის, კურსები და პროგრამის კვლევის კომპონენტები
- თვითშეფასების ანგარიში;
- მარეგულირებელი დოკუმენტები (დანართი 07);
- პერსონალის განვითარება (დანართი 12)
- ბიუჯეტი (დანართი 11)
- პერსონალის პირადი მონაცემები (დანართი 03)

○ გასაუბრების შედეგები;

რეკომენდაციები:

○ რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ რჩევები არ არის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------|
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლების სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის კამპუსს აქვს კარგად აღჭურვილი აუდიტორიები. ეკო-კამპუსი სტუდენტებს სთავაზობს სივრცეებს ჯგუფური მუშაობისთვის, თანამშრომლობისა და დასვენებისთვის.

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ინტეგრირებულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელთან და ელექტრონულ წყაროებზე აქვს წვდომა, როგორცაა მაგალითად, ელსევიერის (Elsevier) სისტემის მონაცემთა ბაზა.

თუმცა, ვიზიტის დღეს, აკრედიტაციის ჯგუფის წევრებმა, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში, ვერ იპოვეს შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული წიგნები, რომლებიც მითითებულია პროგრამის სილაბუსებში, სავარაუდოდ, კომპიუტერთან დაკავშირებული პრობლემის გამო, რომელიც დაუყოვნებლივ გადაიჭრებოდა.

უნივერსიტეტს აქვს კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები, რომლებიც დოქტორანტებს კვლევის განხორციელების საშუალებას მისცემს. მნიშვნელოვანი აღჭურვილობა მოიცავს ცაისის (ZEISS) მიკროსკოპის ლაბორატორიას (კონფოკალური ლაზერული სკანირების მიკროსკოპით); უჯრედების კულტივაციის მოწყობილობას და პრაიმ ლაბორატორიას (Prime Lab) (მომდევნო თაობის დნმ-ის

თანმიმდევრობით, სენგერის მეთოდითა და პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის ტექნიკით რეალური დროის რეჟიმში).

ამასთან, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს აქვს სისხლის ბანკი და ამდენად, ნიმუშები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კვლევის მიზნებისთვისაც.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს (მემორანდუმებით) ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტულ ბიომედიცინის ცენტრთან (აღჭურვილია მღრღნელების ქცევითი ტესტირების საშუალებებით, ოპტიკური, ელექტრონული და კონფოკალური მიკროსკოპებით) და გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტთან (100 წლიანი გამოცდილებით ფაგის კვლევასა და თერაპიაში).

სხვადასხვა აღჭურვილობისა და აპარატების ერთობლიობით, სტუდენტების პირველი თაობა მიიღებს სარგებელს ადეკვატური სამეცნიერო გარემო პირობებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი

რეკომენდაციები:

○ რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|--------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------|
| 4.4. მატერიალური რესურსი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ნაწილია. უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები მოიცავს როგორც უნივერსიტეტის, ისე პროგრამის დაკმაყოფილების საჭიროებებს. იგი ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო პროცესებისა და აკადემიური პერსონალის განვითარებას, ასევე სამეცნიერო-

კვლევითი საქმიანობის ხარჯებს, სტუდენტთა საჭიროებებსა და საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გასაუბრებების დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი აფართოებს შემოსავლის სხვადასხვა წყაროს და არ არის დამოკიდებული მხოლოდ სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდაზე, პირიქით, სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა ფინანსურ სარგებელს. უნივერსიტეტის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მათ აფინანსებს როგორც პროფესიული განვითარებისთვის, ასევე სხვადასხვა სამეცნიერო საქმიანობისთვის და უნივერსიტეტის დაფინანსებით მათ ეძლევათ შესაძლებლობა სრულად ჩაერთონ პროცესებში.

ამასთან, წარმოდგენილ ბიუჯეტში კარგად არის ჩამოყალიბებული უნივერსიტეტის მიერ გაწეული ხარჯების სტრუქტურა და შეიძლება ითქვას, რომ არსებული ბიუჯეტი უზრუნველყოფს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიუჯეტი - სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
- გასაუბრება უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
- გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

○ რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი არ შედის მოთხოვნილ სტანდარტებში, სასურველია პროგრამამ და უსდ-ს ხელმძღვანელობამ, შეისწავლოს, როგორ უზრუნველყოს, სტუდენტების სრული ანაზღაურება დოქტორანტურასა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის შესრულებისას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან | მეტწილ ად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან | ნაწილობ რივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობა აში მოთხოვნებთან |
|--|--------------------------------------|---|--|--|
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|-------------------------------------|---|-------------------------------------|
| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს. აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის გასავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესის განხორციელების დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის საკითხებს კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტი "ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულების" შესაბამისად. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებია საგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივი გაუმჯობესება და ხარისხის კულტურის გაძლიერება. ამ მიზნით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებასთან დაკავშირებული მთელი რიგი რეგულაციები და ჩარჩოები, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების ხელახლა განხილვის პროცედურა და პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) ციკლის შესაბამისად და გამოიყენება შემდეგნაირად: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) სასწავლო გეგმის მიხედვით განხორციელება; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტის აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების გათვალისწინება და პროგრამის ცვლილება (დეტალური აღწერისთვის იხილეთ "ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება" <https://newvision.ge/eng/quality-assurance/>)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტი ჩართულია საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი, ძირითადად, ხორციელდება სამიზნე ჯგუფების გამოკითხვით და სესიებზე სისტემატური დაკვირვებით.

გამოკითხვის ფორმები მოიცავს ისეთი საკითხების შეფასებას, როგორებიცაა - საგანმანათლებლო პროგრამებით კმაყოფილება, სწავლის შედეგები, მენეჯმენტის პროცესების შეფასება, ინფრასტრუქტურა, განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალის შეფასება და ა.შ.. მიღებული ინფორმაციის შედეგების საფუძველზე ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეებისა და პრობლემების იდენტიფიცირდება და მათი გადაჭრის გზების შერჩევა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად უწევს კონსულტაციებს აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებზე.

თვითშეფასების ანგარიშიდან და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრებებიდან შესამჩნევია აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში.

დამსაქმებლების ჩართულობა სრულიად დადასტურდა გასაუბრების დროს და მათი წვლილი ღირებულია პროგრამების განვითარებისთვის. ამ პროცესში ადმინისტრაციული პერსონალის წვლილი და ჩართულობა აშკარა იყო.

უნივერსიტეტში სასწავლო პროგრამებისა და სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სხვადასხვა ღონისძიებას და ტრენინგს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში კარგად არის ჩამოყალიბებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, და ზოგიერთი მათგანი შეიძლება საუკეთესო პრაქტიკადაც კი ჩაითვალოს, მათ შორის კარგი მაგალითი შეიძლება იყოს „ადრეული დიაგნოსტიკის ინსტრუმენტი“. შესაბამისად, ეს უნდა მიესადაგოს არსებულ პროგრამას ფუნქციონირების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება (<https://newvision.ge/eng/quality-assurance/>)
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება;
- გამოკითხვის შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.
-

რეკომენდაციები:

○ რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|----------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში აქტიურად იყენებს პროგრამის აკრედიტაციის გარე შეფასების ინსტრუმენტებს. უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ავტორიზაციის/აკრედიტაციის დროს განხორციელებული გარე შეფასების გარდა, პროგრამის შეფასების მიზნით, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებთან და დარგის ექსპერტებთან.

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაციის პირველი პროცესი 2002 წელს გაიარა, სადაც უნივერსიტეტს მრავალი რეკომენდაცია და პირობები მიეცა. იმ დროისთვის გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მიერ (იხილეთ რეკომენდაციების დეტალური ანგარიში თვითშეფასების დოკუმენტში და აკრედიტაციის პაკეტის პროგრამის/სილაბუსის ფაილებში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

○ რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|------------------------------|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება; | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შესახებ ინფორმაცია და წესები გაწერილია პროგრამის დებულებაში, კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, განსაზღვრულია პროგრამის დაწყების, დამტკიცების, ცვლილებისა და პერიოდული შეფასების პროცედურები.

თითოეული პროგრამისთვის იქმნება პროგრამის განვითარების კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევის შეფასებაზე/გაანალიზებაზე. შესაბამისად, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით პერიოდულად ხორციელდება პროგრამის შედეგების შეფასება.

შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდები მოიცავს სტუდენტის აკადემიური მოსწრების შეფასებას და გამოიყენება „ადრეული დიაგნოსტიკის ინსტრუმენტი“.

შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდი გულისხმობს პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარის დამოკიდებულების შესწავლას - ა) სტუდენტების, ბ) პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის გ) დამსაქმებლების დ) პროგრამის კურსდამთავრებულების. დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შემდეგი ინსტრუმენტები:

კითხვარები - ა) სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო კურსების ან/და პროცესების შეფასება ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში, ბ) სტუდენტის კმაყოფილების შეფასება.

დოქტორანტების თვითშეფასების კითხვარი;

დოქტორანტების ურთიერთშეფასება;

ნაშრომის გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალებში;

მოდულის/კვლევის კომპონენტის ხელმძღვანელების შეფასება;

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულება

- კვლევის შედეგები და ანგარიშები;
- გასაუბრების შედეგები;

რეკომენდაციები:

○ რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|-------------------------------------|
| 5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input checked="" type="checkbox"/> |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | <input type="checkbox"/> |

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ნიუ ვიუენ უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| შეფასება სტანდარტი | შესაბამისო ბაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

სრული სახელი, ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

სრული სახელი, ხელმოწერა

სრული სახელი, ხელმოწერა

სრული სახელი, ხელმოწერა

სრული სახელი, ხელმოწერა